საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაციწვერა



ვაციწვერა (Stipa), მრავალწლოვან, იშვიათად ერთწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა. უმეტესად კორდის შემქმნელი მცენარეებია. საგველა ყვავილედის თავთუნებში თითო მარცვალა ნაყოფია, რ-საც ყვავილის ქვედა კილი მჭიდროდ აქვს შემოზრდილი. კილი ფხიანია, ფხა ქვედა ნაწილში დაგრეხილი, საკმაოდ გრძელი და უმეტესად შებუსულია. 300-მდე სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერ, სუბტროპ. და ტროპ. სარტყლებში. აღმ. საქართველოს ბარისა და მთის ველებში 9 სახეობა იზრდება. მათგან ლესინგის ვ. (S. lessingiana), ფრთისებრი ვ. (S. pennata) და წვრილფოთოლა ვ. (S. tirsa) ველის მცენარეულობის ერთ-ერთი ედიფიკატორია; წურწუმა ვ. (S. capillata) მეზოფილურ თვისებებს იჩენს, ვრცელდება მთის კალთების ქვიშნარ ნიადაგზე. იგი სხვა ვ-ებთან შედარებით გვიან ვითარდება და ცხოველისათვის კარგი საკვებია (მხოლოდ ყვავილობამდე). ვ-ს სახეობათა უმეტესობა ქმნის დამოუკიდებელ დაჯგუფებებს – ვაციწვერიანებს.

შ. ნახუცრიშვილი